



MES 3 23 0001765914



26/12/2023

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 12 დეკემბერს**.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **კახა შენგელია** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **გაგა გვენეტაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. **ივანე აბაშიძე** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
4. **დავით ბოსტოღანაშვილი** - შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის მენეჯერი, პროფესორი;
6. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

8. **ელენე ჟურავლოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
9. **ლელა სალაყაია** - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი, შპს "ვიონი საქართველოს" პერსონალთა მუშაობისა და ადმინისტრაციულ საქმეთა დირექტორი, დამსაქმებელი;
10. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
11. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ანა ჯავახიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
2. **თამთა ანთიძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
შპს თბილისის თავისუფალი აკადემია:**

- ალომე პირველი (რექტორი);
- არინე კობალავა (ვიცე რექტორი);
- ნუჟელა აბულაძე (ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი);
- დავით შოშიტაშვილი (ბიზნესის ადმინისტრირებისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი);
- აია ვასაძე (ბიზნესის ადმინისტრირებისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილე);
- ოფიო ალფაიძე (ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი).

შპს ევროპის უნივერსიტეტი:

- ლაშა კანდელაკიშვილი (ევროპის უნივერსიტეტის პრეზიდენტი);
- ნინო ტალიაშვილი (ევროპის უნივერსიტეტის რექტორი);
- სოფიო ხუნდაძე (ევროპის უნივერსიტეტის ვიცე რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით);
- ნათია ჯოჯუა (ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი);
- თინათინ გოგნაძე (დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):

- ზაზა ცოტნიაშვილი;
- ლევან ცაგარელი;
- დიანა მჭედლიშვილი;
- ხათუნა საგანელიძე;
- თამარ გოდერიძე;
- შოთა სილაგაძე.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის სხდომაზე განხილული შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღის შესახებ.

სხდომის დაწყების დრო: 14:00

სხდომის დასრულების დრო: 14:50

1. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მასალებს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზაზა ცოტნიაშვილი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის 2023 წლის 06

ოქტომბრის ბრძანების თანახმად შპს თბილისის თავისუფალ აკადემიაში განხორციელდა ავტორიზაციის მონიტორინგი. ამ ეტაპზე დაწესებულებამ, როგორც ექსპერტების, ისე ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი, სალომე პირველი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ როგორ მოხდება სტუდენტურ თვითმმართველობასა და სენატში სტუდენტების ცნობიერების ამაღლება. გარდა ამისა, მომავალი წლის ბიუჯეტით როგორ მოხდება სტუდენტთა კვლევების მხარდაჭერა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტები ჩართულები არიან თბილისის თავისუფალ აკადემიის მმართველობით ორგანოებში კერძოდ, სკოლის საბჭოებში და სენატში. შესაბამისად, ისინი ინფორმირებული არიან დაწესებულებაში განხორციელებულ ყველა პროცესთან დაკავშირებით. მისი თქმით, დაწესებულებამ 2023 წლის ოქტომბრის თვეში აირჩია ახალი სტუდენტური თვითმმართველობა. სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე საინფორმაციო შეხვედრებს ყოველკვირა ატარებს სტუდენტებთან. ბიუჯეტთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა იმას, ახალი ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ სრულად მოხდება სტუდენტთა კვლევების მხარდაჭერა.

დაწყების დრო: 14:11

დასრულების დრო: 14:16

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებით დაწესებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწესებული ადმინისტრაციული წარმოება.

2. შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ იცნობდნენ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ცენტრში წარდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დიანა მჭედლიშვილი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 6 – 7 ნოემბერს, თუმცა იყო რამდენიმე ჰიბრიდული სესიები საჭიროებიდან გამომდინარე. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ყველანაირი ხელსაყრელი პირობა იმისა, რომ ვიზიტი კონსტრუქციულ და მშვიდ გარემოში წარმართულიყო. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულება შეფასდა 7 სტანდარტთან მიმართებით და განესაზღვრა 5 რეკომენდაცია და 5 რჩევა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ რეკომენდაციებისა და რჩევების განსაზღვრის მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ევროპის უნივერსიტეტი თავისი რესურსით მზად არის მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ხარისხიანად განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა. გაცემული რეკომენდაციების და რჩევების მიზანია დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობაში მოყვანა. დღეს არსებული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 3500, ხოლო დაწესებულება ითხოვს 1830 ადგილის დამატებას. მან განაცხადა, რომ აქტიური სტუდენტია 3133, ხოლო შეჩერებული სტატუსი 926 სტუდენტს აქვს. დიანა მჭედლიშვილის თქმით, რაოდენობის ზრდა დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 3000 ადგილი,

ხოლო ქართულენოვან პროგრამაზე 1020 ადგილი. სტომატოლოგიის ინგლისურენოვან პროგრამაზე დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 500 ადგილი, ხოლო ქართულენოვან პროგრამაზე 75 ადგილი. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე მატერიალური ტექნიკური ბაზა, რომელიც წარმოდგენილია დიდი რაოდენობით. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს თანამედროვედ აღჭურვილი ლაბორატორიები, სიმულაციური ცენტრები, საკუთარი კლინიკური ბაზები, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ტექნიკური აღჭურვილობა, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი აუდიტორიები და სტუდენტებზე მოთხოვნილი ბიბლიოთეკები. მისი თქმით, დაწესებულებას გააჩნია აფილირებული პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების ეფექტური მექანიზმები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი, ნინო ტალიაშვილი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები არის განმავითარებელი და დაწესებულება მათ იზიარებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას წარმომადგენლებს, თუ რით არის განპირობებული სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა განპირობებულია როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი საერთაშორისო აბიტურიენტების მოთხოვნებით.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, უდასტურდებოდათ თუ არა ინგლისურენოვან პროგრამაზე მოქმედ პედაგოგებს B2 ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი).

ნინო ტალიაშვილმა განაცხადა, რომ დარგობრივი მახასიათებლის ძალაში შესვლის შემდეგ ყველა პედაგოგს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა. პედაგოგები, რომლებიც დასაქმებული არიან უნივერსიტეტში და ლექციებს კითხულობენ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე, წარმოდგენილი აქვთ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი. შეიძლება პედაგოგს არ გააჩნდეს აღნიშნული სერტიფიკატი, თუმცა 3 წლიანი გამოცდილება ჰქონდეს უსდ-ში მუშაობის. შესაბამისად, დასაშვებია დღევანდელი დარგობრივი მახასიათებლით მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის აყვანა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად. პროგრამაში განხორციელდა ცვლილება და პროგრამაზე მისაღებ წინაპირობად განისაზღვრა B1 დონე. პროგრამაზე მისაღები კანდიდატის უცხო ენის ცოდნის შემოწმება ხდება შიდა გამოცდითა და შესაბამისი დამადასტურებელი სერტიფიკატით. მისი თქმით, პროგრამა ითვალისწინებს B2 დონის სასწავლო კურსებს, რომლებიც უზრუნველყოფენ უცხოელი სტუდენტის B2 დონეზე გასვლას.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:31

დასრულების დრო: 14:36

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 5 330-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, 90-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 91-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდა დაწესებულების განაცხადი სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით და შპს ევროპის უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა

5 330-ით.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის სხდომაზე განხილული "შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ" მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღთან დაკავშირებით.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე დააყენა უამდგომლობა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის სხდომაზე განხილული "შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ" საკითხის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 30 ნოემბერს. ეს უამდგომლობა უკავშირდებოდა დაწესებულების თხოვნას, რადგან ერთიანი ეროვნული გამოცდების მზადებისთვის დაწესებულებას დაეგემა სტუდენტთა მიღება. ასევე განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 77-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრების მხრიდან კითხვები არ დაფიქსირებულა

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება

დაწყების დრო: 14:42

დასრულების დრო: 14:48

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი განისაზღვროს 2023 წლის 30 ნოემბერი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაყენებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 30 ნოემბერი.

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა გამოცხადდა დახურულად 2023 წლის 12 დეკემბერს 14:50 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა

